საქართველოს მთავრობის

დადგენილება №26

2017 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“:

1. 12^2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებსა და პირობებს ამ პროგრამის 12^4 მუხლით გათვალისწინებულ ტერიტორიულ ერთეულებში განსაზღვრავს სააგენტო, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და სააგენტოს/პროგრამის ვებპორტალზე - www.qartuli.ge.“.

2. 12^4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის ნებისმიერ ეტაპზე ბიუჯეტი თითოეულ ლოტზე ნაწილდება ლოტში გაერთიანებული სამიზნე ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**